პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 228 (10925)

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

სახალხო მეურნეობის საბჭოების სოციალისტური შეჯიბრება

უოველი დღე გვიახლოებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან მე-40 წლისთავს. და რაც უფრო ახლოვდება დიადი დღესასწაული, მით უფრო ფართოდ ჩაღდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, იზრდება მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში საფუძველი ჩაეყარა და დღითიდღე სულ უფრო ფართოვდება სახალხო მეურნეობის საბჭოების სოციალისტური შეჯიბრება. ეს შესანიშნავი შეჯიბრება მასების შემოქმედებითი აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობისა და პატრიოტული თავდადების, კომუნისტური პარტიისადმი მათი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა.

უდიდესი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები კრასნოდარის მხარის ეკონომიური რაიონის მშრომელთა წინადადებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ამ დღეებში სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეურნეო პროფკავშირული აქტივის კრებამ ფართოდ განიხილა კრასნოდარელთა გამოწვევა და ერთსულოვნად მოიწონა ეს შესანიშნავი ინიციატივა. თავის მხრივ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბაიჯანის ეკონომიური რაიონის მშრომელები და იკისრა ახალი, გადიდებული ვალდებულებანი.

სახალხო მეურნეობის საბჭოების სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშის ქვეშ ვითარდება, დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის მოვლენაა და იგი ჩვენი მრეწველობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას გამოიწვევს. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები აღფრთოვანებით ხვდებიან ცნობას კრასნოდარის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოების სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ და აძლიერებენ ბრძოლას ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის მუშაკებმა დიდი და საპატიო ვალდებულებანი იკისრეს. ამ ვალდებულებათა გაცნობა თვალნათლივ მეტყველებს იმ უდიდეს შესაძლებლობებსა და რეზერვებზე, რომლებიც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალმა სისტემამ გამოავლინა. სოციალისტურ ვალდებულებებში ჩაწერილია, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები საერთო პროდუქციის გამომვების 1957 წლის დავალებას შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის და წლიური გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცემენ 215 მილიონი მანეთის პროდუქციას.

გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის მუშაკებმა იკისრეს, მოითხოვს დაძაბულ, ენერგიულ მუშაობას. საჭიროა თვითეულ საწარმოში, საამქროსა და ბრიგადაში გავაჩაღოთ ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, მოძმე ეკონომიური რაიონების მშრომელებთან გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ვალდებულება აიღე — შეასრულე რაც არ უნდა მოხდეს! ეს ბოლშევიკური წესი მტკიცედ უნდა დავნერგოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოების, საწარმოებისა და მშენებლობების, ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა მის მასობრივობაშია. ამიტომ აუცილებელია მომძე ეკონომიური რაიონების მშრომელებთან გაჩაღებულ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობდეს ყველა საწარმო და საამქრო, განყოფილება და ბრიგადა, თვითეული მუშა და მოსამსახურე. ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთ საწარმოში სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში. ამ საწარმოების მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს შეჯიბრებაში.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, ემზადებიან რა ოქტომბრის დიადი დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის, ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპს. სახალხო მეურნეობის საბჭომ მიმდინარე წლის რვა თვის დავალება 103,7 პროცენტით შეასრულა. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა საწარმო და საამქრო როდი ასრულებს გეგმას. დიდად ჩამორჩება კაპიტალური, სამრეწველო და საბინაო მშენებლობა. გასაგებია, რომ ჩამორჩენილ საწარმოებს და მშენებლობებს უფრო მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდებათ. ეს გარემოება სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებისაგან მოითხოვს ყოველდღიური კავშირი ჰქონდეთ თვითეულ საწარმოსა და მშენებლობასთან. საჭიროა მათ რაც შეიძლება ნაკლები დრო დაჰყონ კაბინეტებში და უფრო მეტ ხანს იყონ ადგილებზე, ორმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას.

ახალი, დიდი ამოცანების გადაწყვეტაში სახალხო მეურნეობის საბჭოს, მის ცალკეულ საწარმოებსა და მშენებლობებს კონკრეტული, საქმიანი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამ მხრივ საყურადღებოა პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის საქმიანობა, რომელმაც უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა ქვანახშირის ამოღების ჩამორჩენის დასაძლევად. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტზე, რომელიც, როგორც ჩანს, ურიგდება მარგანეცის მრეწველობის შეუწყნარებელ ჩამორჩენას. იგი სათანადო პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას არ ეწევა მაღაროელებთან.

მომძე ეკონომიური რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებს, ადგილობრივ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ისინი მოწოდებული არიან კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღონ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, მთელი ძალები დაარაზმონ კრასნოდარის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოების შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას არქივის მასალები, რომლებიც ინახება სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებში.

გადასაცემ საარქივო მასალებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის და მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს რუმინეთის 1911-1944 წლების პერიოდის ისტორიის შესასწავლად.

ამ მასალებში შედის რუმინეთის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა დიდძალი დოკუმენტები.

მოსკოვში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

24 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრება. დელეგაციის შემადგენლობაში არიან რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე იანოშ კადარი და სახელმწიფო მინისტრი დიერდ მაროშანი. დელეგაციას თან ახლავან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საინფორმაციო სამმართველოს ხელმძღვანელი იშტვან სირმაი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე პეტერ კოოში, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი უნგრეთში ხაო დეცინი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ დედაქალაქის ცენტრალურ აეროდრომზე იანოშ კადარს, დიერდ მაროშანსა და მათთან ერთად ჩამოსულ პირებს შეხვდნენ ა. ბ. არისტოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა, რომლის შესრულება უზრუნველყოფს სერიოზულ წინსვლას იმ გზაზე, რომ გადავჭრათ სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანა — ისტორიულად მოკლე ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ყრილობის შემდეგ განვლილმა დრომ ცხადყო, რომ ყრილობის მიერ მიღებული დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ წარმატებით სრულდება. სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1956 წელს 1955 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის 11 პროცენტით, ხოლო 1957 წლის 8 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 და მეტი პროცენტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესრულების მსვლელობაში გამოვლინდა, რომ საჭიროა შეტანილ იქნას დაზუსტებანი ხუთწლიანი გეგმის ცალკეულ სანიმუშო დავალებებში. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის დეკემბრის პლენუმმა მოგვცა მითითება დაზუსტდეს ცალკეული დავალებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას იმ მატერიალური რესურსებისა და ფინანსური სახსრების ყველაზე რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, რომლებიც ხმარდება სახალხო მეურნეობის განვითარებას, აგრეთვე გამოინახოს საბინაო მშენებლობისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფის შესაძლებლობანი. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად საბინაო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის თებერვლის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიამ, რომელიც 1957 წლის მაისში გაიმართა, მიიღეს გადაწყვეტილებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ, რომელთა მიზანია უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, სამეურნეო მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოება, ხელმძღვანელობის მიახლოება წარმოებასთან, წარმოების მართვაში მშრომელი მასების კიდევ უფრო ფართო მონაწილეობა, კომუნისტურ მშენებლობაში მათი შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარება.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, რაც ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა, და ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ მოითხოვა პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის წესის ძირეული შეცვლა. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვას მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, ხოლო რესპუბლიკებში — ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით ნაცვლად სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით დაგეგმვის წესისა, რომელიც წინათ მოქმედებდა. დაგეგმვის ახალი წესი შესაძლებელს ხდის უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი რესურსები, უზრუნველვყოთ წარმოების უფრო სწორი განლაგება და გადავჭრათ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგების ათვისებისა და განვითარების და ცალკეული ეკონომიური რაიონების კომპლექსური განვითარების საქმეში.

უკანასკნელ წლებში გეოლოგებმა აღმოაჩინეს სხვადასხვა სახეობის ნედლეულისა და ენერგიის წყაროების ახალი დიდი საბადოები. ამ რესურსების ბაზაზე არის შესაძლებლობა შეიქმნას ახალი საწარმოები და ახალი სამრეწველო ცენტრები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის დირექტივებით მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამისათვის საკმაო არ არის მეექვსე ხუთწლედის დარჩენილი სამი წელიწადი. ასეთი დიდი ამოცანების განსახორციელებლად საჭირო იქნება სულ ცოტა 5-7 წელი.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენა უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის და დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმის პროექტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიიჩნიათ პერსპექტიული გეგმის პროექტის შედგენისას იხელმძღვანელონ მთავარი ამოცანით — უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი განვითარების ბაზაზე, რათა გადაიდგას ახალი დიდი ნაბიჯი სსრ კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის გზაზე, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება.

პერსპექტიული გეგმის მთავარი ამოცანის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის, წარმოების ყველა დარგში მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ათვისებისა და ფართოდ დანერგვის ბაზაზე. ახალმა პერსპექტიულმა გეგმამ ფართო გასაქანი უნდა მისცეს მეცნიერების ყველა დარგის, თეორიული კვლევისა და ახალი დიდი მეცნიერული აღმოჩენების განვითარებას.

პერსპექტიული გეგმის პროექტში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას უფრო დიდი მასშტაბებით ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისება, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, განსაკუთრებით ხელოვნური ბოჭკოს, კვების ნედლეულის შემცველების წარმოების, პლასტიკური მასების და სხვა სინთეზური მასალების, აგრეთვე ხელოვნური ტყავის წარმოების ჩქარი განვითარება, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის მაღალი ტემპები, ქვანახშირის და განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის მრეწველობის შემდგომი განვითარება, მშენებლობის ვადების შემცირება და ბევრ სამშენებლო ობიექტზე კაპიტალდაბანდებათა დაქსაქსვის ლიკვიდაცია, საბინაო მშენებლობის მოცულობის მნიშვნელოვანი გადიდება და მისი ტემპების დაჩქარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაფართოება, რათა უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ, და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება.

პერსპექტიული გეგმის პროექტის შემუშავების დამთავრების ვადად დადგენილია 1958 წლის 1 ივლისი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

რესპუბლიკაში რთველია გაჩაღებული. **სურათებზე:** სამტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხნის ლაბორანტი გ. გარსევანოვა ნიმუშს იღებს ყურძნის შაქრიანობაზე. გურჯაანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციის“ წევრები (მარცხნიდან) ო. კვეზერელი, მ. გორგიაშვილი ყურძნის კრეფაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი დადგმები, საზეიმო კონცერტები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით საინტერესო მუშაობა წარმოებს თბილისის სატელევიზიო სტუდიაში. დედაქალაქის თეატრალური და მუსიკალური საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივი ინტენსიურად მუშაობს ახალი დადგმების მომზადებაზე.

ოქტომბრის დღეებთან დაკავშირებით სატელევიზიო სტუდია განახორციელებს რამდენიმე დადგმას. პირველ დადგმად წარმოდგენილ იქნება „თეთრი ღამეები“ ჭოლა ლომთათიძის მოთხრობების მიხედვით. სბავშვო გადაცემათა რედაქცია ამზადებს ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას მ. ლებანიძის პოემის მიხედვით.

დღესასწაულის დღეებში განზრახულია მოეწყოს გადაცემა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ძველი ბოლშევიკები. სპეციალური კინონარკვევის საშუალებით მაყურებელი გაეცნობა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევებს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. გაიმართება საზეიმო კონცერტები.

კოლმეურნეთა სიხარული

უხვი შემოდგომაა სტალინირის რაიონის სოფელ არცევში: დამწიფდა ყურძენი, ბერტყავენ კაკლის ხეებს, კოლმეურნეთა ნაწილი სიმინდის მოსავალს იღებს. მზეზე გარუჯული კოლმეურნე ქალები ფუსფუსებენ ბოსტანსა და ბაღჩაში, მაგრამ არცველთა სიამაყეს მაინც ხილის ბაღი წარმოადგენს, რომელიც ტირიფონის ველის 120 ჰექტარზეა გადაჭიმული. იგი სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველ წლებში გაშენდა. ახლა კი, რომ იტყვიან, ხეები დავაყაცდნენ და უხვად იძლევიან ძვირფას ნაყოფს. გულს ახარებს ეს ბაღი ხილის კრეფის ამ ცხარე დღეებში.

...ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან ზაფხულისა და ზამთრის შაფრანები, შამპანური და კანადური რენეტები, მაღლა აწვდილი ქართული სინაპები, ტოტებმახრილი ბანანები... მრავალჯიშიან ბაღში ზღვა მოსავალია.

ხედავ ამას, და ფიქრები გიტაცებს, რამდენი შრომაა საჭირო, რომ ბაღში დაკრეფილი 900-1.000 ტონა ვაშლი დაიბინაო, სახელმწიფოს ჩააბარო, რომ ამ მოსავლით დასტკბნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, თბილისელი და სხვა სამრეწველო ქალაქების მშრომელები.

იქვე, ბაღის შესასვლელთან, დამამზადებელ პუნქტს ახალი საწყობი აუშენებია. ეს გასაგებიც არის, რადგან კოლმეურნეობა ხილის უხვი მოსავლის გაზიდვას შორ მანძილზე ვერ შეძლებს.

კოლმეურნეობის ბრიგადირი ნესტორ გოიაევი ურმებთან ახლოს კოლმეურნეებს ესაუბრება. ესენი არიან მეურმეები ვ. გოიაევი, დ. ხუბულოვი და ც. გუდიევი, რომლებიც უთენებლივ მოსულან ბაღში და მიმღებ პუნქტს ხილს აბარებენ. მაგრამ ვიდრე დაკრეფილი ვაშლი დამამზადებელ პუნქტში მოვიდოდეს, მას ჯერ კიდევ ბაღში წონიან, საწყობის გამგე რეზო ბოლათაევი იბარებს, ხოლო შემდეგ პუნქტისაკენ იგზავნება.

— შესანიშნავი ვაშლია, — ამბობენ მიმღები პუნქტის გამგე გურამ გიგაური და მწონავი ვასილ დარბაიძე, — გასულ წელთან შედარებით პირველი ხარისხის ხილს 2-3-ჯერ მეტს ჩავაბარებთ. საერთო რაოდენობას ნუღარ იტყვით... ბევრად აჭარბებს შარშანდელს. ჩვენი ხილი ნამდვილად ძვირფასი საჩუქარი იქნება მოსკოველებისათვის დიადი დღესასწაულის დღეებში. მან საბჭოთა მშრომელის სუფრა უნდა დაამშვენოს.

ამისათვის ეჯიბრებიან ერთიმეორეს კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადები, რომლებიც ხეხილის გარკვეულ ნაკვეთებს უვლიან. ნესტორ გოიაევის ბრიგადა ეჯიბრება სარქის გოიაევის ბრიგადას, რამან კაზიევის ბრიგადა ანტონ ბიჩიკაევის ბრიგადას.

აგერ შამპანური რენეტის ნაყოფით დატვირთულ ხეს კენწეროზე მოქცევია ახალგაზრდა გოგონა მარგო ხუბულოვა. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ იგი ბაღში გამოსულა, რათა დაეხმაროს კოლმეურნეობას, თავის დედას ვარდოს ხილის მოსავლის აღებაში. ხის ტოტები ინძრევა და ვაშლით ავსილი კალათები ძირს ეშვება.

— ფრთხილად, შვილო, ვაშლს სათუთად უნდა მოეპყრა, მცირეოდენი დარტყმა, და იგი დაიბეჟება, ზამთარს ვერ გაუძლებს, — არიგებს დედა ახალგაზრდა გოგონას და მაღლიდან ჩამოწოდებულ კალათს ათავსებს.

მათ გვერდით კანადურ რენეტს კრეფენ მოწინავე კოლმეურნეები მათიკო გუდიევა, თამარ კეკელიშვილი, ქართა თუაევი და 78 წლის მოხუცი ილო გოიაევი.

100 ტონაზე მეტი მარტო ნაკარი ვაშლი ჩააბარეს არცველებმა საკონსერვო ქარხანას, ათობით ტონა ალექსანდრიული მსხალი ჩაბარდა დამამზადებელ პუნქტს. პუნქტში შევიდა პირველი ათეული ტონა გაზაფხულის შაფრანი, კანადური რენეტი და სხვა ნაადრევი ჯიშები.

უხვი შემოდგომაა არცევში. კოლმეურნეებმა შრომადღეებზე ავანსად უკვე მიიღეს 2,5 კილოგრამი მარცვლეული, 5 მანეთი ფულად, ამას გარდა ყველი და სხვა პროდუქტები. ასეთია არცველთა წლიური შრომის შედეგი. ახლა ისინი ძალასა და ენერგიას არიშურებენ, რათა უხვად მოსული მოსავალი დროულად დაბინავონ.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დიადი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ადგილობრივ მუზეუმში გაცხოველებით ეშზადებიან ოქტომბრის მე-40 წლისთავის შესახვედრად. რევოლუციური წარსულის ამსახველ გამოფენას მრავალი ახალი ექსპონატი და მასალა შეემატა. მნახველის ყურადღებას იქცევს მხატვარ შ. მეტრეველის პანო — „ზუგდიდის მშრომელთა მიტინგი, მიძღვნილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი“. აქვეა ს. ორჯონიკიძის მიერ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილი დეპეშის ფოტოპირი. ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეების ს. კიროვის, ს. ორჯონიკიძის და მ. ცხაკაიას სურათების გვერდით გამოფენილია რაიონის ძველი წითელი პარტიზანების სურათები.

ახალ სტენდს მრავალი მნახველი ათვალიერებს. აქ ჩამოდიან ექსკურსიით მშრომელები სხვა რაიონებიდანაც, ახლო კურორტებიდან.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა შეასრულეს ცხრა თვის გეგმა

საქართველოს მეშახტეებმა ქვანახშირის ამოღების ცხრა თვის გეგმა 23 სექტემბერს 100,2 პროცენტით შეასრულეს. 13 მოქმედი შახტიდან გეგმა შეასრულა 9 შახტმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება გადიდდა 3,6 პროცენტით. ახალციხის შახტსამმართველოს № 2 შახტი ქვანახშირს მომავალი წლის ანგარიშში იძლევა.

(საქდესი).

თერჯოლისა და ცხაკაიას რაიონებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა

თერჯოლისა და ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებმა 20 სექტემბრისათვის შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

გარდაბნის რაიონმა შეასრულა ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების წლიური გეგმა

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვადამდე, 20 სექტემბრისათვის, შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, რძისა — 107 პროცენტით, კვერცხისა — 103 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. (საქდესი).

ასტრახანი. კიროვის სახელობის გემთსაშენში ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ შესადუღებელი სამუშაოებისათვის ელექტროდები მურმანსკიდან და სხვა ქალაქებიდან მოჰქონდათ. ეს ხშირად აფერხებდა ელექტროშედუღების სამუშაოებს და ძვირად უჯდებოდა წარმოებას. წლის დასაწყისში კიროვის სახელობის გემთსაშენმა ააგო ელექტროდების საამქრო.

სურათზე: ელექტროდის საამქროს უფროსი ა. პავლოვი და დამხარისხებელი რ. ბუროვა ამოწმებენ დამზადებული ელექტროდების ხარისხს.

ფოტო ა. ლეონტიევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი გახარჯავს 1958 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომთა მიღებას.

როგორც შარშან, კომიტეტი განიხილავს ყველა წარმოდგენილ ნაშრომს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტებთან ერთად და საქმეში ჩაებამს საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო ფენებს.

მიმდინარე წლის 1 ნოემბერს დამთავრდება 1958 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომთა მიღება. ყველა ნაშრომს, რომლებიც გაეგზავნება კომიტეტს ამ ვადის შემდეგ, განიხილავს კომიტეტის შემდეგი სესია 1959 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომებთან ერთად.

იმისათვის, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო ფენები გაეცნონ წარმოდგენილ ნაშრომებს, გაზეთ „იზვესტიაში“ 1 ნოემბრის შემდეგ გამოქვეყნდება განსახილველად მიღებულ ნაშრომთა სია და მათი ავტორები.

წინადადებანი ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ, აგრეთვე ყველა დასკვნა წარმოდგენილ ნაშრომთა და მათი ავტორების შემადგენლობის შესახებ მიიღება შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ი-51, ნეგლინის ქუჩა 29/14, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი.

ერთსულოვან ოჯახში

რუსეთთან ადიღეს ნებაყოფლობითი შეერთების 400 წლისთავისათვის

მაიკოპი, (ადიღეს ავტონომიური ოლქი), 24 სექტემბერი. (საკდესი). ადიღეს ავტონომიური ოლქის მშრომელები ემზადებიან აღნიშნონ რუსეთთან ადიღეს ნებაყოფლობითი შეერთების 400 წლისთავი. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ადიღეს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ნეფშეყუევმა განაცხადა:

— თავისი უფროსი ძმის რუსი ხალხისადმი ადიღეელი ხალხის უსაზღვრო მადლობისა და სიყვარულის გრძნობა გამოხატა ჩვენმა ეროვნულმა პოეტმა ყირიმიზე ყანემ თავისი ლექსით:

„ადიღევ ჩემო!
შენ სამშობლო უწოდე რუსეთს,
შენ მან გაგზარდა,
სიყვარულით თავს დაგფუსფუსებს!
მადლობელი ვართ შენი მარად
დიდო რუსეთო!
შენ შეგვიქმენი ჩვენ ცხოვრება
ლაღი, უსაზღვრო!
შენით გვინათებს მზის სხივები
და გვმატებს ძალას,
ადიღე მუდამ შენ მოგიძღვნის
მხურვალე სალამს!
გულითად სალამს გიძღვნით, ჩვენ
დიდო რუსეთო!“

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები რუსეთთან შეერთების მეოხებით დაადგნენ ახალი ისტორიული განვითარების გზას.

დაუკავშირეს რა თავიანთი ბედი, ადიღეელები რუსებთან ერთად იბრძოდნენ ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ. ადიღეელი ხალხის საუკეთესო შვილები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხების მხარდამხარ ადიღეელები იცავდნენ თავიანთ სოციალისტურ მონაპოვრებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ადიღემ ეკონომიური და კულტურული გარდაქმნის სახელოვანი გზა განვლო.

რევოლუციამდელ წლებში მას თითქმის არ ჰქონდა მრეწველობა. ახლა სამრეწველო წარმოებამ წამყვანი ადგილი დაიკავა ამ ოლქის სახალხო მეურნეობაში. ახლა ჩვენში აწარმოებენ ლითონსაჭრელ და სპეციალურ ჩარხებს, მექანიზმებს ხეტყის მრეწველობისათვის, ავეჯსა და სხვა ნაწარმს. მარტო მეხუთე ხუთწლედში სამრეწველო წარმოება თითქმის გაორკეცდა.

რევოლუციამდე ადიღეს ჰქონდა რამდენიმე შინამრეწველური სახელოსნო და წისქვილი, რომლებშიც დასაქმებული იყო ასამდე მუშა. ახლა ოლქში 80-ზე მეტი მსხვილი საწარმოა, მათ შორის ავეჯისა და საკონსერვო კომბინატები, ჩარხმშენებელი ქარხანა და სხვ. ყოველ წელს ადიღე იძლევა 60 მილიონზე მეტ ქილა კონსერვს.

საბჭოთა ხელისუფლებამ გარდაქმნა სოფლის მეურნეობაც. ახლა ადიღეში 48 კოლმეურნეობა, 13 მტს-ი და 17 საბჭოთა მეურნეობაა, რომლებიც ამუშავებენ მეოთხედ მილიონზე მეტ ჰექტარ მიწას.

რევოლუციამდელი ოცი წლის მანძილზე ადიღე საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე იღებდა 4,8 ცენტნერ მარცვლეულს. მას არ ჰყავდა არც ერთი აგრონომი, არც ერთი ზოოტექნიკოსი ან სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი, ახლა ოლქში მუშაობს სოფლის მეურნეობის 500-მდე სპეციალისტი. მის მიწებს ამუშავებენ ტრაქტორები, მოსავალს იღებენ კომბაინებით. თვითეულ ჰექტარზე იღებენ 20-25 ცენტნერ პურს. განა მარტო პურით არის მდიდარი ახლა ადიღე? იგი იძლევა ყურძენს, თამბაქოს, ბევრ ხილსა და ბოსტნეულს.

ადიღეელებს, რომლებსაც დიდ ოქტომბრამდე არ ჰქონდათ დაწერილობა, ახლა აქვთ თავიანთი ეროვნული ლიტერატურა. ჩვენმა მწერალმა ტემბოტ კერაშევმა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო სტალინური პრემია რომანისათვის „ბედნიერების გზა“. ჩვენ ახლა გვყავს მწერალთა და პოეტთა დიდი ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული არიან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ადიღეს განყოფილებაში.

რევოლუციამდე აულებში იყო სულ მხოლოდ ცხრა სკოლა, სადაც სწავლობდა 350 ბავშვი — ერთი მოსწავლე 150 მოსახლეზე. ახლა აქ 246 სკოლაა, რომლებშიც სწავლობს 13 ათასამდე ბავშვი — ერთი მოსწავლე 5 მოსახლეზე. ეს მხოლოდ მოსწავლენი არიან, ხოლო ამას გარდა ჩვენში სწავლობენ სახელოსნო სასწავლებლებსა და სხვა სასწავლებლებშიც.

ადიღემ შექმნა თავისი ინტელიგენცია, აქვს ინსტიტუტები თავისი ეროვნული კადრებით, ოლქში მუშაობს 2.570 მასწავლებელი, 1.400-მდე მედიცინის მუშაკი, გვყავს 35 მეცნიერებათა კანდიდატი. ათი ათას მოსახლეზე სტუდენტთა რაოდენობით ადიღემ გაუსწრო არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნებს, არამედ ევროპის ბევრ დიდ ქვეყანასაც.

კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებამ შეცვალა ადიღეს აულები. მაგალითისათვის ავიღოთ აული კოშეხაბლი, რაც მომთაბარე აულს ნიშნავს. მის მცხოვრებლებს ყოველთვის თავს ატყდებოდათ სხვადასხვა უბედურება. ხან იძულებული იყვნენ გაქცეოდნენ ყვავილს და დასახლებულყვნენ ახალ ადგილას, გვალვის დროს გაქცეოდნენ შიმშილს, შემდეგ წყალდიდობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი კოშეხაბლი სულ იზრდება და კარგი ხდება. აულში ლამაზი მწვანე ქუჩები, კეთილმოწყობილი სახლები და კულტურის სახლია, რომელსაც ყოველი ქალაქი შეეძლია დაამშვენოს. ახლა აქ მუშაობს უმაღლესი განათლების მქონე 50 კაცი.

ვეღარ იცნობთ ადიღეს. მას აქვს თავისი გაზეთები რუსულ და ადიღეურ ენებზე, თავისი გამომცემლობა, თეატრი, რადიო.

ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხებთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ადიღეელები მტკიცე რწმენით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

თვითმფრინავ „ტუ-104ა“-ს ეკიპაჟის ახალი თვალსაჩინო მიღწევა

რეკორდული გადაფრენა მოსკოვი — ორშა — მოსკოვი

24 სექტემბერს ვნუკოვოს აეროდრომიდან აფრინდა რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-104 ა“. თვითმფრინავში 10.000 კილოგრამამტვირთი იყო.

თვითმფრინავმა, რომელსაც მართავდნენ მეთაური ვ. კოვალიოვი, მეორე პილოტი ი. სუხომლინი, შტურმანი კ. მალხასიანი, ქიმინჟინერი ბ. გროზდოვი, ქიმმექანიკოსი ვ. გოლუბკოვი და ქიმრადისტი ნ. მაიოროვი, 10 საათსა და 40 წუთზე გადაუფრინა პ. შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის შენობას, სადაც იმყოფებოდა სპორტის კომისარი ნ. ბაბაევი. მიაღწია რა მარშრუტის საბოლოო პუნქტს — ორშას, „ტუ-104 ა“ უკან გამობრუნდა. 11 საათსა და 42 წუთზე მან მოსკოვს გადაუფრინა და დაეშვა ვნუკოვოს აეროდრომზე.

მთელი მარშრუტი — 1.000 კილომეტრი თვითმფრინავის ეკიპაჟმა დაძლია 1 საათსა, 1 წუთსა და 48,2 წამში და აჩვენა საშუალო სიჩქარე, რომელიც უდრის 972,856 კილომეტრს საათში. ეს შედეგი 72,196 კილომეტრით სჯობს მსოფლიო რეკორდს, რომელიც შვედ მფრინავს ა. ნეიუს ეკუთვნის, რომლის თვითმფრინავი უტვირთოდ ფრენდა.

მასალები თვითმფრინავ „ტუ-104ა“-ს ეკიპაჟის ახალი მიღწევების შესახებ გაეგზავნა სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სპორტულ კომისიას, რათა რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის ხუთი ახალი რეკორდი: ფრენის სიჩქარე 1.000 კილომეტრზე უტვირთოდ, ერთი, ორი, ხუთი და ათი ტონა ტვირთით. (საკდესი).

„საბჭოთა რუსეთი და კაპიტალისტური სამყარო“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის ახალი წიგნი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „საბჭოთა რუსეთი და კაპიტალისტური სამყარო 1917-1923 წლებში“, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა მოამზადა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წიგნი პირველად იძლევა ამ ამბებით მდიდარი დროის ისტორიის სისტემატურ ჩამოყალიბებას. წიგნში გაშუქებულია რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის პერიოდისა და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტურ სამყაროში რევოლუციური აღმავლობის ძირითადი ამბები. განსაკუთრებული ყურადღება ეძცევა ყველა დროის უდიდეს მოვლენას — ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში.

წიგნი ნავარაუდევია მკითხველთა ფართო წრისათვის. მისი საერთო მოცულობაა 694 გვერდი, ტირაჟია 25 ათასი ცალი. წიგნი ღირს 16 მანეთი. (საკდესი).

საკდესის ცნობა

საბჭოთა არმიისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის საბრძოლო მომზადების გეგმის შესაბამისად საბჭოთა კავშირში მოეწყო სხვადასხვა სახეობის შეიარაღების ატომური და წყალბადის [illegible] ტიპების [illegible] ადგილას და დიდ სიმაღლეზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ცნობა

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა 1956 წელს შეიპყრო ლატვიის სსრ ქალაქ პრიეკულეს მკვიდრი, ამერიკის დაზვერვის აგენტი ლ. ნ. ზარინში, რომელიც არალეგალურად შემოიპარა სსრ კავშირის ტერიტორიაზე და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური საჯაშუშო მომზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როგორც გამოძიებით გამოირკვა, ზარინში დიდი სამამულო ომის დროს თავის მამასთან, ფაშისტური ორგანიზაციის მონაწილესთან ერთად გაქცეულა ლატვიიდან დასავლეთ გერმანიაში, საიდანაც 1949 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში წასულა მუდმივ საცხოვრებლად.

ზარინშმა აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს იგი გადაიბირეს ამერიკის დაზვერვის სამსახურში. ამერიკის დაზვერვის პოლკოვნიკის კულას ხელმძღვანელობით ზარინშმა ვაშინგტონის მახლობლად ტეინტონის ფერმაში სპეციალური მომზადება გაიარა ძირგამომთხრელი მუშაობის საწარმოებლად სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

გამოძიების დროს ზარინშმა აგრეთვე აჩვენა, რომ ამერიკის დაზვერვა აპირებს არალეგალურად გამოგზავნოს სსრ კავშირში ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ძირგამომთხრელი მუშაობის მოსაწყობად თავისი შტატის თანამშრომელი, რომელსაც ზარინში იცნობს მეტსახელით „ანდი“.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა გამოარკვია, რომ „ანდის“ სახელით ამერიკის დაზვერვაში მუშაობს სამხედრო დამნაშავე ლ. პ. ბრომბერგი, რომელიც ლატვიის სს რესპუბლიკის ჰიტლერული ოკუპაციის წლებში იყო ფაშისტური პოლიციის თანამშრომელი რიგაში და მონაწილეობდა საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრებასა და დახვრეტაში.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად შეიქმნა პირობები ბრომბერგის შესაპყრობად, როცა იგი სსრ კავშირში შემოვიდოდა. 1957 წლის ივლისში ბრომბერგი დაიპატიმრეს.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ბრომბერგმა ამერიკის დაზვერვასთან კავშირი დაამყარა 1948 წელს შვეიცარიაში, სადაც იგი ომის დასასრულ გაიქცა. 1950 წელს ბრომბერგი ჩაირიცხა სსრ კავშირში შემოსაგზავნ ჯაშუშთა მოსაბზადებელ მზვერავთა სკოლის ინსტრუქტორის შტატის თანამდებობაზე. ბრომბერგი დიდხანს მუშაობდა ამერიკის დაზვერვის ორგანოებში დასავლეთ გერმანიის ქალაქებში კემპტენსა და შტერნბერგში, ხოლო შემდეგ გადაყვანილ იქნა ვაშინგტონში, სადაც მუშაობდა საბჭოთა კავშირში შემოგზავნამდე.

ამერიკის დაზვერვა, ბრომბერგს რომ გზავნიდა სსრ კავშირში, დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. კერძოდ, ბრომბერგს უნდა გამოეყენებინა თავისი წარსული კავშირი ლატვიელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს შორის და ამერიკელთა დავალებით ლატვიის სსრ ტერიტორიაზე უნდა შეექმნა ჯაშუშთა არალეგალური რეზიდენტურა. გარდა ამისა, მას დავალებული ჰქონდა შეემოწმებინა და საბჭოთა ცენტრისათვის მოეხსენებინა, თუ რა მიზეზით ჩავარდნენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე წინათ შემოგზავნილი მთელი რიგი ამერიკელი ჯაშუშები.

ამერიკის დაზვერვამ, რომელსაც ბრომბერგის მისიის წარმატების იმედი ჰქონდა, მასთან ერთად შემოგზავნა დიდძალი საჯაშუშო საჭურველი — ცეცხლსასროლი იარაღი, პორტატული მომღებ-გადამცემი რადიოაპარატურა, საიდუმლო წერის საშუალებანი, ყალბი დოკუმენტების ბლანკები. სსრ კავშირში ჯაშუშთა რეზიდენტურის შესაქმნელად და შესანახავად ბრომბერგმა ამერიკელებისაგან მიიღო 450 ათასი მანეთი.

საბჭოთა პრესაში უკვე არაერთხელ გამოქვეყნებულა ცნობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის დაზვერვის ძირგამომთხრელი საქმიანობის ფაქტების შესახებ. ამერიკელი მზვერავის ბრომბერგისა და მისი ხელქვეითის ზარინშის დაპატიმრება მოწმობს, რომ ამერიკის დაზვერვას არ შეუწყვეტია თავისი ცდები დანაშაულებრივი ძირგამომთხრელი საქმიანობა გააჩაღოს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.



მთავართბილისმშენის მესამე სამმართველომ, რომელიც მშენებლობებს აწარმოებს საბურთალოში პავლოვის ქუჩაზე. წელს ჩასასახლებლად უნდა გადასცეს რამდენიმე მრავალსართულიანი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 7.121 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ბევრმა მშრომელმა აქ უკვე მიიღო კეთილმოწყობილი ბინები.

მთავრდება პავლოვის ქუჩაზე სხვა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაც.

სურათზე: მთავართბილისმშენის მესამე სამმართველოს სამშენებლო მოედნის საერთო ხედი საბურთალოში, პავლოვის ქუჩაზე.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

დედაქალაქის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის

საუბარი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან ამხ. ა. მელაძესთან

თბილისში, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, მყექვსე ხუთწლედის მე-2 წელს ბევრი რამ ახალი უნდა გაეთდეს, რის შემდეგ ბევრად გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. „კომუნისტის“ რედაქციამ სთხოვა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ა. მელაძეს მოეთხრო ქართველი მკითხველისათვის, ქალაქის მოსახლეობის სისტემატურად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად რა სახის სამუშაოები მიმდინარეობს, რა მიღწევებით ხვდება ქალაქი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. ამხ. ა. მელაძემ განაცხადა:

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, რომელსაც გათვალისწინებული აქვს მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ქალაქის მეურნეობის განვითარების ამოცანები, დაპროექტებული აქვს 1957 წელს ახალ მშენებლობებზე დაფინანსების ყველა წყაროებიდან დახარჯოს 159 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მიმდინარე წელს შენობებისა და ნაგებობების კაპიტალურ და მიმდინარე რემონტზე დაიხარჯოს 95 მილიონ მანეთზე მეტი. მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს საბინაო მშენებლობას და საბინაო ფონდის რემონტს.

წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 27 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გარდა ამისა, სამინისტროებისა და უწყებების ხაზით გადაეცემა 73 ათასი კვადრატული მეტრი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს რამდენიმე ათასი ოჯახი უზრუნველვყოთ ბინებით. ინდივიდუალურ მშენებელთა სახსრებით აშენდება 14 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ზემოაღნიშნულის გარდა წელს გათვალისწინებულია თბილისის საგარეუბნო კურორტებზე ავაგოთ 1, 2 და 3-ოთახიანი ბინები, რომლებიც ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცემათ ცალკეულ მობინადრეებს. ისინი ნაწილნაწილ გადაიხდიან შენობის ღირებულებას.

46 მილიონი მანეთი უნდა დაიხარჯოს კომუნალური მეურნეობის გაფართოებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგებას. დიდი თანხები დაიხარჯება განაპირა ახალი უბნების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. მიმდინარეობს სამეურნეო და სასმელი წყლის წყალსადენის ქსელის გაყვანა ლისის ტბამდე. გათვალისწინებულია წყალსადენის მშენებლობა კურორტ კოჯრისათვის. წელს ქალაქის წყალსადენს შეემატება 28 კილომეტრი ახალი და რეკონსტრუირებული ქსელი. მიმდინარე წელს ქალაქის მოსახლეობა მიიღებს 12,6 მილიონ კუბურ მეტრით მეტ წყალს, ვიდრე 1956 წელს. გასულ წელთან შედარებით თბილისის მშრომელები მიიღებენ 43 მილიონ კილოვატსაათით მეტ ელექტროენერგიას.

დასასრულია ამოცანა მოკლე დროში აღმოვფხვრათ ჩამორჩენა ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობაში. ამ მიზნით სოლანლუღში შენდება ახალი ქარხანა, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ წლიურად მივიღებთ 70 ათას ტონა ასფალტის მასას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ ქალაქის მეურნეობის მოთხოვნილება ასფალტ-ბეტონზე.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ქალაქის აღმასკომის საწარმოების გაფართოებისა და მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, რაზეც წელს დაიხარჯება 29 მილიონი მანეთი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ საწარმოებს, რომლებიც ქალაქს ამარაგებენ საშენი მასალებით. წელს აღმასკომის საწარმოები გამოუშვებენ 415 მილიონი მანეთის პროდუქციას.

გათვალისწინებულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განკითარებაზე დაიხარჯოს 6,6 მილიონი მანეთი. სასფუნდო კინოთეატრები შენდება 26 კომისრის რაიონის ბაღში, მოლოტოვის და ლენინის რაიონებში, ლია ესტრადა შენდება ორჯონიკიძის რაიონში კიროვის სახელობის ბაღში. საკმაოდ დიდი სახსრებია გათვალისწინებული სახალხო განათლებისა და სამედიცინო დაწესებულებათა ნაგებობების მშენებლობისათვის.

თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმების აღმოვფხვრათ ჩამორჩენა ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობაში. ამ მიზნით სოლანლუღში შენდება ახალი ქარხანა, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ წლიურად მივიღებთ 70 ათას ტონა ასფალტის მასას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ ქალაქის მეურნეობის მოთხოვნილება ასფალტ-ბეტონზე.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ქალაქის აღმასკომის საწარმოების გაფართოებისა და მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, რაზეც წელს დაიხარჯება 29 მილიონი მანეთი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგებას. დიდი თანხები დაიხარჯება განაპირა ახალი უბნების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. მიმდინარეობს სამეურნეო და სასმელი წყლის წყალსადენის ქსელის გაყვანა ლისის ტბამდე. გათვალისწინებულია წყალსადენის მშენებლობა კურორტ კოჯრისათვის. წელს ქალაქის წყალსადენს შეემატება 28 კილომეტრი ახალი და რეკონსტრუირებული ქსელი. მიმდინარე წელს ქალაქის მოსახლეობა მიიღებს 12,6 მილიონ კუბურ მეტრით მეტ წყალს, ვიდრე 1956 წელს. გასულ წელთან შედარებით თბილისის მშრომელები მიიღებენ 43 მილიონ კილოვატსაათით მეტ ელექტროენერგიას.

დიდძალი თანხები დაიხარჯება აგრეთვე საგზაო მშენებლობაზე განაპირა რაიონებში. გათვალისწინებულია ასფალტით დაიფაროს 271 ათასი კვადრატულ მეტრზე მეტი სავალი ნაწილი და ტროტუარი, მოიკირწყლოს 140 ათას მეტრზე მეტი ქუჩა.

დასასრულია ამოცანა მოკლე დროში აღმოვფხვრათ ჩამორჩენა ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობაში. ამ მიზნით სოლანლუღში შენდება ახალი ქარხანა, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ წლიურად მივიღებთ 70 ათას ტონა ასფალტის მასას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ ქალაქის მეურნეობის მოთხოვნილება ასფალტ-ბეტონზე.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ქალაქის აღმასკომის საწარმოების გაფართოებისა და მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, რაზეც წელს დაიხარჯება 29 მილიონი მანეთი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგებას. დიდი თანხები დაიხარჯება განაპირა ახალი უბნების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. მიმდინარეობს სამეურნეო და სასმელი წყლის წყალსადენის ქსელის გაყვანა ლისის ტბამდე. გათვალისწინებულია წყალსადენის მშენებლობა კურორტ კოჯრისათვის. წელს ქალაქის წყალსადენს შეემატება 28 კილომეტრი ახალი და რეკონსტრუირებული ქსელი. მიმდინარე წელს ქალაქის მოსახლეობა მიიღებს 12,6 მილიონ კუბურ მეტრით მეტ წყალს, ვიდრე 1956 წელს. გასულ წელთან შედარებით თბილისის მშრომელები მიიღებენ 43 მილიონ კილოვატსაათით მეტ ელექტროენერგიას.

ამ ოცი წლის განმავლობაში ქალაქ თბილისში ააშენეს 1.500 ჰექტარზე მეტ ფართობზე 1.000 ათასზე მეტ კვადრატულ მეტრზე საცხოვრებელი ფართობი. ეს ნიშნავს, ერთ ადამიანზე 5 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობს

კრასნოდარის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიური რაიონების სოციალისტური შეჯიბრება

ოქტომბრის დიად დღესასწაულს — ღირსეული შეხვედრა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრება

★ ★

ამ დღეებში შედგა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრება. აქტივის კრებამ, რომელიც სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ო. ლილაშვილმა გახსნა, განიხილა ერთი საკითხი—კრასნოდარის მხარისა და აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოებთან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ამ საკითხზე აქტივის კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ჩოგოვაძე.

ამხ. გ. ჩოგოვაძემ აქტივის კრების მონაწილეებს უამბო კრასნოდარის მხარის სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების თაოსნობაზე, რომლებმაც საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს საქართველოს სსრ ეკონომიური რაიონის მშრომელები.

კრასნოდარელები კისრულობენ საერთო პროდუქციის გამოშვების 1957 წლის დავალება შეასრულონ ვადამდე — 20 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით დიადი დღესასწაულის დღისათვის გამოუშვან 600 მილიონი მანეთის პროდუქცია. კრასნოდარელთა გამოწვევა ფართოდ განიხილეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოებსა და განყოფილებებში, საწარმოებსა და მშენებლობებზე და უდიდესი აღფრთოვანებით მოიწონეს იგი.

მოხსენების გამო აქტივის კრებაზე აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გაიმართა. სიტყვებით გამოვიდნენ სახალხო მეურნეობის საბჭოს სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. მ. კოდუა, სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცის, რძისა და თევზის მრეწველობის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ე. ბუაჩიძე, სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. ი. კეკელიძე, სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ო. ჭანტურაია, სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე და მთავარი ინჟინერი ამხ. ი. ხაილოვი, სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ფირცხალავა. მათ მტკიცე სიტყვა მისცეს აქტივის კრების მონაწილეებს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა კოლექტივები ღირსეულად შეხვდებიან ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრებამ საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების სახელით მიიღო კრასნოდარის მხარის ეკონომიური რაიონის მშრომელთა გამოწვევა და თავის მხრივ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, რისთვისაც იკისრა გადიდებული ვალდებულებანი.

ქვემოთ ქვეყნდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრების ანგარიში.

★

ვალდებულება განაღდებულია!

ამხ. ა. ფირცხალავას სიტყვიდან

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი სამმართველოს სისტემის სატყეო მრეწველობის მეურნეობებისა და საქარხნო-საფაბრიკო საწარმოთა ხელმძღვანელების თათბირზე საოქტომბრო სოციალისტური ვალდებულება ავიღეთ. იმავე დღეს გავაფორმეთ სოციალისტური ხელშეკრულება საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოსთან. ეს ფოთლა სახალხო მეურნეობის საბჭოს და ჩვენი სამმართველოს შექმნის პირველ კვირეებში. მაშინ ჩვენ ვიკისრეთ 7 ნოემბრისათვის გამოგვეშვა 15 ათასი კუბმეტრი მერქანი, 5 ათასი კუბმეტრი დახერხილი მასალა, ერთი მილიონი მანეთის ავეჯი, 100 ათასი კუბმეტრი ფურცლოვანი ფანერი და 200 ათასი კუბმეტრი საპარკეტო ფრიზა, გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით აგვემაღლებინა შრომის ნაყოფიერება.

მოხარული ვარ მოვახსენო აქტივს, რომ ის, რაც საოქტომბროდ ვიკისრეთ, განაღდებულია. ვალდებულება შეასრულეთ 8 თვესა და 15 დღეში!

მინდა მოვუთხრო ამხანაგებს იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა სამმართველო შეჯიბრების ქმედითობისათვის. თვეში ერთხელ ადგილებზე რეგულარულად ვაწვდიდით ინფორმაციას, თუ თვითეული საწარმო როგორ ასრულებდა გეგმებს და ნაკისრ ვალდებულებებს. ეს საშუალებას აძლევდა საწარმოთა ხელმძღვანელობას თვალი ედევნებინა შეჯიბრების მიმდინარეობისათვის, სცოდნოდა, ვინ არის მოწინავე, ვინ ჩამორჩა.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, რომ სახალხო მეურნეობის საბჭომაც საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად რეგულარულად გამოსცეს სამმართველოებისათვის ბიულეტენი თუ მისი მსგავსი ცნობარი, რომელშიც რამდენიმე ძირითადი საწარმოო მაჩვენებლით შეგვეძლება წარმოდგენა ვიქონიოთ რას აკეთებენ სამმართველოები ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

კიდევ ერთი საკითხი. მმართველობის ორგანიზაციის გარდაქმნის აზრი ისიც იყო, რომ მაქსიმალურად განვითარებულიყო კოოპერირება და სპეციალიზაცია, მაგრამ ახლა არ არის ისეთი ორგანო, რომელმაც იცოდეს, თუ კოოპერირებული საწარმოები როგორ ასრულებენ ურთიერთვალდებულებას. ბიზანშეწონილია ასეთი ინსპექცია თუ განყოფილება შეიქმნას სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, რომელიც გააერთიანებს საბჭოს განყოფილებათა თითო წარმომადგენელს. ეს აპარატი იმუშავებს და მოაგვარებს როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე სხვა ეკონომიურ რაიონებთან კოოპერირების საკითხებს, იზრუნებს ურთიერთვალდებულებათა დროულად შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი, (მარცხნიდან) სხედან — მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსი ი. კეკელიძე, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორი ე. თავაძე, ავეჯის კომბინატის მთავარი ინჟინერი გ. ხვედელიანი, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს ინსტრუქტორი გ. რაჭველიშვილი, სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოოტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე ა. ღვამიჩავა, დგანან — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე გ. სიგუა, მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ო. ჭანტურაია და სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველოს უფროსი მ. კოდუა.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის გზით

ამხ. გ. ჩოგოვაძის მოხსენებიდან

დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიების განხორციელებამ — სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ, მრეწველობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნამ საკმაოდ გაამართლა თავისი დანიშნულება. ამას ნათლად მოწმობს საქართველოს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის მუშაობის მაგალითი, მისი პირველი შედეგები. საწარმოებისადმი ხელმძღვანელობა ახლა უფრო კონკრეტული, მოქნილი და ოპერატიულია. მართვის სრულყოფამ გეგმების შესრულებისათვის, რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარების ფართო შესაძლებლობანი გადაშალა.

ძირითადად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოები წარმატებით ართმევენ თავს მუშაობას. მიმდინარე წლის საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის დავალება მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით შესრულებულია 103,1 პროცენტით.

მიღწევები უდავოდ თვალსაჩინოა. მაგრამ სწორი არ იქნება დუმილით ავუაროთ გვერდი იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც არის მრეწველობის ცალკეული დარგების მუშაობაში, ზოგიერთი სახის პროდუქციის გამოშვებაში.

ავიღოთ, მაგალითად, საწარმოები ისეთი წამყვანი სამმართველოსი, როგორიც მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოა. მას მთლიანად დავალება თუმცა 101,6 პროცენტით აქვს შესრულებული, მაგრამ ჩამორჩებიან ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნები. გათვალისწინებული რაოდენობით ვერ მიაწოდა სახელმწიფოს თუჯი, ფოლადი და მილები ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ. გეგმების შესრულებაში ჩამორჩებიან აგრეთვე ქვანახშირის, ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ჭიათურის მარგანეცის ტრესტი და კვაისის მაღაროთა სამმართველო. დავალებებს ვერ ასრულებენ თბილისის ქარხნები „დაზგა“ და „ელექტროგამშვები“. დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდება თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშაობა. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება და წარმოების ორგანიზაცია. ცუდად სრულდება კაპიტალური მშენებლობის გეგმები. განსაკუთრებით ჩამორჩება იმ ობიექტების მშენებლობა, რომლებსაც მთავარობილისმშენის სამმართველო აშენებს.

ეს ნაკლოვანებანი ძირითადად იმის შედეგია, რომ საწარმოებში ჯერ კიდევ დაბალია საწარმოო დისციპლინა, სრულად არ იყენებენ მექანიზმებსა და მოწყობილობას, არ რაზმავენ კოლექტივებს დავალებათა შესრულებისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე, რომლებიც დაემთხვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებას, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება არა მარტო საწარმოთა შორის, არამედ თვით დარგობრივ სამმართველოებს შორისაც. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არსებული რეზერვების გამოყენებას, საერთო წარმატების მიღწევას, ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ კრასნოდარის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს სოციალისტური ვალდებულებანი. კრასნოდარელები შეჯიბრებაში გვეწვევიან.

შემდეგ ამხ. ჩოგოვაძემ აქტივის მონაწილეებს გააცნო კრასნოდარელთა მომართვის ტექსტი.

სახალხო მეურნეობის საბჭომ თავის სხდომაზე იმსჯელა ამ საკითხზე და გადაწყვიტა მიიღოს გამოწვევა, თავის მხრივ კი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო. აქტივის დღევანდელი კრება იმისათვის მოვიწვიეთ, რომ გულდასმით და ყოველმხრივ განვიხილოთ ვალდებულებანი, რომლებსაც ჩვენ ვიკისრებთ, გამოვავლინოთ ახალი რეზერვები. ამ ვალდებულებებს საფუძვლად უდევს ცალკეული ქარხნების და დარგობრივი სამმართველოების მიერ საოქტომბროდ აღებული ვალდებულებანი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეზობელი ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონებისათვის კოოპერირების წესით მისაწოდებელი ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის დროულად გაგზავნას. ასეთი დავალებები პირველ რიგში უნდა სრულდებოდეს.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ შეჯიბრებაში, რომ სასახელოდ გავანაღდოთ ვალდებულებანი. საჭიროა ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, ხელშეკრულების პუნქტები ფართოდ გავაცნოთ საწარმოთა კოლექტივებს, თვითეულ მეშას, სისტემატურად ვაქვეყნებდეთ შეჯიბრების მიმდინარეობას, ვახალისებდეთ მოწინავეებს, ვსწავლობდეთ და ვავრცელებდეთ მათს გამოცდილებას — ეს უზრუნველყოფს ჩვენს წარმატებას.

ოქტომბრის ... ...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დღის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა გენერალური კომიტეტის რეკომენდაციებისა ასამბლეის დღის წესრიგის შესახებ.

უნგრეთის წარმომადგენელმა პეტერ მოდმა გააღლაშქრა ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ ასამბლეის დღის წესრიგში შეტანის წინააღმდეგ. ასამბლეას, თქვა მან, არავითარი უფლება არა აქვს განიხილოს ეს საკითხი, რადგანაც ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაა. უნგრელმა ხალხმა დაიცვა თავისი მონაპოვარი, ჩაახშო რა ფაშისტი ელემენტების მიერ მოწყობილი კონტრრევოლუციური ამბოხება.

გენერალური ასამბლეის XII სესიის დღის წესრიგში ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ შეტანის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ა. გრომიკო.

კვლავ გამოათრიეს რა უნგრეთის ამბების ყალბი ვერსია, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, ამ ჟუჟუიანი საქმის ინიციატორებს სურთ მოწამლონ სესიის ატმოსფერო, შექმნან დაძაბულობა ასამბლეაში და ამრიგად ხელი შეუშალონ მშვიდი, საქმიანი ვითარების დამყარებას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას კონსტრუქციული გადაწყვეტილებანი ნამდვილად დიდმნიშვნელოვან გადასაჭრელ საერთაშორისო საკითხებზე. ისინი, როგორც ჩანს, უხერხულად გრძნობენ თავს, თუ ასამბლეა თუნდაც ერთ დღეს, თუნდაც ერთ საათს მოანდომებს თავის ნამდვილ საქმეებს. მათ უნდათ, რომ ვითარება ასამბლეაში დაძაბული იყოს, მათ უნდათ განუწყვეტლივ მუშაობდეს „ცივი ომის“ მანქანა, სხვაგვარად ისინი მოიწყენენ, მათ ძილი მოერევათ. ყოველივე ეს სამწუხაროა, ბატონო დელეგატებო, მაგრამ ფაქტია.

თუ უკან მივიხედავთ და გავიხსენებთ, როგორი იყო საქმის ვითარება გენერალური ასამბლეის წინა სესიებზე, დავრწმუნდებით, რომ ეს არაერთხელ განმეორებულა. საერთაშორისო თანამშრომლობის მოწინააღმდეგეები განსაკუთრებული გულმოდგინეობით ეძებენ დაძაბულობის გაღვივების, უთანხმოების გამწვავების სხვადასხვა შესაძლებლობას. და თუ მიუხედავად ამისა მთელ რიგ შემთხვევებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მაინც მიუღია გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელს უწყობენ შვიდობის განმტკიცებას, ახლა პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ხდებოდა „ცივი ომის“ მომხრეთა ცდების მიუხედავად.

დასასრულ ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია გადაჭრით ილაშქრებს იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ შეტანილ იქნას გენერალური ასამბლეის XII სესიის დღის წესრიგში ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა დაჟინებით მოითხოვა ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ შეტანა იმ „საფუძვლზე“, რომ ეს საკითხი უკვე იყო განხილული. მოითხოვა რა შემდგომი ნარევა უნგრეთის საშინაო საქმეებში, ლოჯი ამაოდ ცდილობდა უარეყო საერთოდ ცნობილი ფაქტები იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ სხვადასხვაგვარი კონტრრევოლუციური ხროვების მხარდაჭერის პოლიტიკას სოციალისტურ ქვეყნებში სახალხო რეჟიმების დამხობის მიზნით.

დაახლოებით ასევე გამოვიდა ინგლისის დელეგატი ნობლი.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა ვ. დავიდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არც გენერალურ ასამბლეას, არც მის რომელიმე ორგანოს არა აქვთ უფლება განიხილონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეები. „უნგრეთის საკითხის“ წამოყენების ინიციატორები დაინტერესებული არიან იმით, რომ შემდგომ გააჩაღონ „ცივი ომი“ და გადაიტანონ მისი მეთოდები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მათ სურთ ჩამოაშორონ ასამბლეის ყურადღება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას, მოწამლონ ასამბლეის მუშაობის ატმოსფერო და ამით შელახონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟი.

ასამბლეამ 57 ხმით შეიტანა „უნგრეთის საკითხი“ თავის დღის წესრიგში. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმა მისცა 10 დელეგაციამ (სსრ კავშირმა, ალბანეთმა, ბულგარეთმა, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ, უნგრეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, უკრაინის სს რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიამ, იუგოსლავიამ), 6 დელეგაციამ კენჭისყრის დროს თავი შეიკავა. კენჭისყრის დროს დარბაზში არ იყო 9 დელეგაცია.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ს. პრიცამ, რომელიც გამოვიდა კენჭისყრის მოტივების გამო, განაცხადა რომ მისი დელეგაცია ჯერ კიდევ XI სესიაზე აღნიშნავდა იმ საზიანო შედეგებს, რაც მოჰყვება „უნგრეთის საკითხის“ განხილვას, მით უმეტეს, რომ არც ერთ უშუალოდ დაინტერესებულ ქვეყანას არ მოუთხოვია ასეთი განხილვა. ამ საკითხის დატოვებას დღის წესრიგში, განაგრძო იუგოსლავიის დელეგატმა, არ შეუძლია მოიტანოს რაიმე დადებითი შედეგი და შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ დისკუსიის გამოყენება ისეთი მიზნებისათვის, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან. კამათი ამ საკითხის გამო მხოლოდ გააძლიერებს „ცივ ომს“ და ხელს შეუშლის ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას. ამ მოსაზრების სისწორეს ამტკიცებს ამასწინანდელი მწვავე კამათი „უნგრეთის საკითხის“ გამო, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის. ამიტომ, თქვა დასასრულ პრიცამ, ჩემმა დელეგაციამ ხმა მისცა „უნგრეთის საკითხის“ ასამბლეის XII სესიის დღის წესრიგში შეტანის წინააღმდეგ.

შემდეგ ასამბლეამ დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხის განხილვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხზე განცხადება გააკეთა ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა კრიშნა მენონმა. მან მკვეთრად გააკრიტიკა გენერალური კომიტეტის უკანონო რეკომენდაცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მოახვია მას თავს, არ განიხილოს ინდოეთის წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის შესახებ. გენერალურ ასამბლეას არ შეჰფერის, განაცხადა მან, ყოველ სესიაზე გადადოს ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვა.

ინდოეთის წარმომადგენელმა შეიტანა გენერალური კომიტეტის რეკომენდაციის შესწორებანი. ამ შესწორებათა შესაბამისად აღდგენილ უნდა იქნას ინდოეთის თავდაპირველი წინადადება — გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე განხილულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის საკითხი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ვინეგიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მიენიჭოს ჩინელ ხალხს წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, განაგრძო პოლონეთის დელეგატმა, აღარ შეუძლია კვლავაც უგულებელყოს ჩინეთის კანონიერი წარმომადგენლობის საკითხი. ამიტომ პოლონეთის დელეგაცია მხარს უჭერს გენერალური კომიტეტის რეკომენდაციის შესწორებას, რომელიც ინდოეთმა შემოიტანა.

პოლონეთის დელეგატმა მოითხოვა ამ საკითხის სახელობითი კენჭისყრა.

ავღანეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისმა ქვეყანამ ნორმალური მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ მთავრობასთან, და მოუწოდა ასამბლეის დელეგატებს იხელმძღვანელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, რომელიც ავალდებულებს მათ დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა ყველა ხალხს შორის. დადგა დრო, თქვა მან, მოვიწვიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები, რომელშიც მსოფლიოს მეოთხედი მოსახლეობა ცხოვრობს.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის ნამდვილი წარმომადგენლები რომ არ არიან, ეს აძნელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულებას.

იუგოსლავიის დელეგატმა მოუწოდა ბოლო მოეღოს „არარეალურ და საზიანო ცდებს ხელი შეუშალონ“ ჩინეთის წარმომადგენლობის შესახებ დიდი ხანია მომწიფებული საკითხის განხილვას. იუგოსლავიის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგია იმ რეკომენდაციისა, რომელიც მიიღო გენერალურმა კომიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებით, და მხარს უჭერს ინდოეთის დელეგაციის წინადადებას.

ინდოეთის წინადადებას XII სესიის დღის წესრიგში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის“ საკითხის შეტანის შესახებ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ.

საბჭოთა კავშირის პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხზე, თქვა ა. ა. გრომიკომ, კარგად არის ცნობილი. ჩვენ ვიცავდით და ვიცავთ იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადაიჭრას ეს საკითხი, რადგან ყოველი შემდგომი გაჭიანურება ამ საქმეში ბღალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს და ასუსტებს მის როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის ეფექტიანობას. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია სავსებით უჭერს მხარს ინდოეთის დელეგაციის წინადადებას გენერალური ასამბლეის XII სესიის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ.

ინდოეთის შესწორებათა წინააღმდეგ გამოვიდა ავსტრალიის დელეგატი. იგი ცდილობდა გაემართლებინა თავისი პოზიცია იმით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ არ უარყო თავისი „პრეტენზიები“ კუნძულ ტაივანზე, რომელიც როგორც ცნობილია, ჩინეთის ტერიტორიაა.

ამერიკელმა დელეგატმა ლოჯმა მოუწოდა დელეგატებს არ შეეხონ საკითხის არსს, არამედ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მისი საპროცედურო მხარის განხილვით. ეს ბუნებრივიც არის, რადგან საქმის არსის ყოველი განხილვა გარდუვალად აიძულებს, თუ რა არასაკადრის სამარცხვინო უბადრუკ მანევრებს მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ არ დაუშვან ჩინეთის კანონიერი წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლოჯმა მხარი დაუჭირა ჩანკაიშელს, რომელმაც გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პროპაგანდისტული ორგანოების გაცვეთილი მტკიცებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ.

ირლანდიის დელეგატმა მხარი დაუჭირა იმას, რომ ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი განხილულ იქნას გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე. ასეთი საკითხების გადაჭრაში, თქვა მან, ჩვენ ვერ ვიხელმძღვანელებთ სიმპათიებითა და ანტიპათიებით.

ინგლისის წარმომადგენელმა პირსონ დიკსონმა, ისევე როგორც გენერალური ასამბლეის წინა სესიებზე, ამ საკითხში დაიკავა, რბილად რომ ვთქვათ, ორაზროვანი პოზიცია. მან განაცხადა, რომ ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი უნდა განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, მაგრამ არა ამ სესიაზე. ეს ფორმულა შესაძლებლობას აძლევს ინგლისის დელეგატს, რომლის მთავრობას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ფაქტიურად მხარი დაუჭიროს ჩანკაიშელთა ხროვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ხელი შეუწყოს ამერიკის შეერთებული შტატების არასაკადრის მანევრებს ამ საკითხში.

ინდოეთის წინადადებას მხარი დაუჭირა აგრეთვე უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ფ. პალამარჩუკმა.

ბირმის დელეგაციის მეთაურმა უ ტანმა განაცხადა, რომ ბირმა ყოველთვის უჭერდა მხარს იმას, რომ ჩინეთი წარმოდგენილი იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერი მთავრობის სახით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის ახლანდელი პოლიტიკა, რომლებიც ხელს უშლიან ამას, საზიანოა და არ შეესაბამება საქმის რეალურ მდგომარეობას.

ბირმის დელეგატმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ასამბლეამ ამ სესიაზე განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი.

ინდოეთის წინადადებას მხარი დაუჭირეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, ალბანეთის, რუმინეთის, ცეილონის დელეგატებმა.

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის დელეგატის ლოიდის შემდეგ 24 სექტემბრის დილის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიქტორ ლაროკი, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების დაცვას განიარაღების საკითხში. ამასთან ბელგიის დელეგატმა მოუწოდა იმისაკენ, რომ უკუგდებულ იქნას ეროვნული სუვერენიტეტის „მოძველებული კონცეფციები“, რადგან მისი სიტყვით, უამისოდ შეუძლებელია განიარაღების ნამდვილი კონტროლი.

შემდეგ გამოვიდა ურუგვაის დელეგაციის მეთაური სესარ ჩარლონე, რომელმაც მოითხოვა ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება. მან მხარი დაუჭირა რეგიონალური ეკონომიური კავშირების, კერძოდ, ისეთი კავშირის შექმნას, რომელშიც შევიდოდნენ სამხრეთ ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები: არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი და ჩილი. ასეთი კავშირი, თქვა მან, დაეხმარება მასში შემავალ ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკის რეკონსტრუქციაში.

ჩარლონემ გააკეთა ახალი გამოხდომა უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის წესის წინააღმდეგ და ქება-დიდება შეასხა გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას „უნგრეთის საკითხზე“.

ურუგვაის წარმომადგენლის გამოსვლით დამთავრდა დილის სხდომა.

„დროა, ბოლო მოეღოს ამ აბსურდულ მდგომარეობას“

ბელგრადი, 24 სექტემბერი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის განხილვას, გაზეთი „ბორბა“ წერს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის წინაშე დგას განსაკუთრებით აქტუალური ამოცანა: მან უნდა გადაჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი. გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე ამ საკითხის გადასაჭრელად გადადგმული პირველი ნაბიჯი, სამწუხაროდ, მცდარი იყო. სესიის დღის წესრიგის მომზადების კომიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით და ინგლისის მხარდაჭერით 8 ხმის უმეტესობით გადაწყვიტა რეკომენდაცია მიეცეს გენერალურ ასამბლეას საერთოდ ნუ განიხილავს ახლანდელ სესიაზე ამ საკითხს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა უნდა უარყონ ეს რეკომენდაცია. დროა, ბოლო მოეღოს ამ აბსურდულ მდგომარეობას, როცა 600 მილიონიანი ჩინელი ხალხის წარმომადგენელია ჩან კაი-შის დელეგატი და არა მისი კანონიერი წარმომადგენელი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგატი. და წელს, ისევე როგორც შარშან, იუგოსლავია მხარს დაუჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებას თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

კომენტარებში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის კანონიერი ადგილის მინიჭების წინააღმდეგ ძირითად მოტივს წარმოადგენს ტაივანი. თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი კანონიერი ადგილი დაიკავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, შეუძლებელი იქნება ჩან კაი-შის მდგომარეობის და ტაივანზე ამერიკის სამხედრო ბაზების შენარჩუნება.

ამერიკის იარაღი ეგზავნება იორდანიას ისრაელზე გავლით

ტელ-ავივი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ალ ჰამიშმარის“ მომამზადებელი, იმოწმებს რა „იერუსალიმის დიპლომატიური წყაროებიდან“ მიღებულ ცნობებს, იტყობინება, რომ ამერიკის იარაღის გაგზავნა იორდანიაში ხორციელდება ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილზე გავლით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დღისით გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა საბჭოს სპეციალური წარმომადგენლის იარინგის (შვეცია) მოხსენება იმ შედეგების შესახებ, რაც მოჰყვა მის გამგზავრებას მიმდინარე წლის მარტ-აპრილში ინდოეთსა და პაკისტანში. ეს გამგზავრება მოხდა ქაშმირის საკითხზე საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად.

იარინგმა თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ იგი ვერ შეიტანს რაიმე წინადადებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქაშმირის პრობლემის გადაჭრას.

საბჭოს სხდომაზე მიწვეული იყვნენ ინდოეთისა და პაკისტანის წარმომადგენლები.

პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნუნმა თავის გამოსვლაში ინდოეთს დაბრალა იარინგის მისიის წარუმატებლობა.

ნუნმა კვლავ ჩამოაყალიბა პაკისტანის პრეტენზიები ქაშმირისადმი.

ინდოეთის წარმომადგენლის კრიშნა მენონის მოკლე გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭომ გადადო მოხსენების განხილვა.

მორიგი გაწვევა საგზოთა არმიის რიგებში

სურათზე: კალინინის რაიონის სამხედრო კომისარი პოდპოლკოვნიკი გ. კობიძე ესაუბრება წვევამდელებს საბჭოთა არმიის მიერ სამამულო ომის დროს გაწეული გმირული ბრძოლების შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სიხარულით მიღიან

საზეიმო განწყობილებაა მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. აქ მოწყობილია გამწვევი პუნქტი. რამდენ საინტერესოს, რამდენ ამაღელვებელ და დაუვიწყარ ეპიზოდებს ნახავთ აქ.

სამხედრო კომისარიატის მუშაკებს ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ სამხედრო სამსახურში გასაწვევი ახალგაზრდები ახლო გაეცნონ სამხედრო პროფესიებს, ღრმად შეიგნონ ის მაღალი და საპატიო მოვალეობა, რაც ეკისრებათ მათ საბჭოთა არმიის რიგებში. გამწვევ კომისიას, რომელსაც რაიონის სამხედრო კომისარი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი გიორგი ბილანიშვილი ხელმძღვანელობს, ყველაფერი წესრიგზე აქვს: მოწყობილია აგიტპუნქტი, მუშაობს ბიბლიოთეკა, ტარდება ლექციები სახელოვანი საბჭოთა არმიის გმირული ისტორიიდან. ახალგაზრდები ეცნობიან სტენდებს — „დიდი ოქტომბრის დღეები“, „ლენინიზმი ჩვენი პარტიის გამარჯვების დროშაა“, „პარტიის XX ყრილობის დირექტივები“, გამოკრულია საბჭოთა კავშირის მარშლების პორტრეტები, უჩვენებენ კინოსურათებს, შესვენებისას თამაშობენ ჭადრაკს, შაშს, ეჯიბრებიან ერთმანეთს სროლაში.

აი საექიმო კომისიის წინაშეა თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მეყალიბე ავთანდილ ნიკოლაიშვილი. იგი საექიმო კომისიამ სამხედრო სამსახურისათვის ვარგისად ცნო და ჩარიცხა სახელოვანი საბჭოთა არმიის რიგებში მეკავშირედ. საავიაციო სამსახურში წასვლის სურვილი გამოთქვა ვახტანგ ყუბანეიშვილმა. მისი თხოვნა კომისიამ დაკმაყოფილა, ვ. ყუბანეიშვილი მამაც მფრინავთა რიგებში ჩარიცხეს. საავიაციო ნაწილში გაგზავნეს ტრამვაი-ტროლეიბუსის სახელოსნოს ზეინკალი სურენ ოგანესიანი. საექიმო კომისიამ ტანკისტთა ნაწილში გაგზავნა ვიქტორ გლაზოვი, რომელმაც წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი.

სიხარულით მიდის საქართველოს ახალგაზრდობა საბჭოთა არმიაში — ავიაციაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში, სატანკო ნაწილებში, არტილერისტებად, მეკავშირეებად.

6.000 ტურისტი თბილისში

ათასობით ტურისტი-ექსკურსანტი ეწვია ამ ზაფხულს თბილისის ტურისტთა ბაზას. ზოგი ჩათვლითი მარშრუტის მონაწილე იყო და ფეხით გადმოიარა როკის უღელტეხილი, ზოგიც ერევნიდან და ბაქოდან მოემართებოდა, ზოგი კიდევ საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვიდა თბილისში. ტურისტებს შორის არიან სტუდენტები, მასწავლებლები, მეცნიერი მუშაკები, მუშა-მოსამსახურეები არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან, არამედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვ.

ტურისტები თბილისში ორ დღეს რჩებიან. ისინი ეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ახალ ნაგებობებს, ისტორიულ ადგილებს. ბაზის მუშაკები უცხოელებისათვის აწყობენ დამატებითს ექსკურსიებს დედაქალაქის საწარმოებში, სადაც სტუმრებს გულთბილად ხვდება საწარმოების ახალგაზრდობა, უწყობენ შეხვედრებს, ერთმანეთს უძღვნიან სხვადასხვა საჩუქარსა და სამკერდე ნიშანს. უცხოელი ტურისტები მიემგზავრებიან აგრეთვე რუსთავსა და გორში.

ზაფხულის განმავლობაში თბილისის ტურისტულ ბაზას ეწვია 6.120 ტურისტი.

სპორტის ამბები

ერევნული ბილიარდელები

უძლიერეს კალათბურთელთა ასეულეულში

როგორც გამოირკვა, კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრებს, რომელიც გაიმართება ოქტომბრის პირველ ნახევარში მოსკოვში, დაემთხვა შუა აზიის რესპუბლიკების სპარტაკიადა. ამიტომ ალმა-ატის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელთა გუნდს ნება დაერთო პირველობის კალენდარული შეხვედრები ჩაატაროს სპარტაკიადის დაწყებამდე. აღნიშნულ შეხვედრებს ალმა-ატელები ატარებენ მოსკოვში.

პირველად ალმა-ატელები შეხვდნენ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს და დამარცხდნენ ანგარიშით 53:75. მეორე დღეს ალმა-ატელთა წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდი. ამჯერად ალმა-ატელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრა და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 61:57.

მესამე დღეს ალმა-ატის „ბურევესტნიკი“ შეხვდა თბილისის „დინამოს“. თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ქორქია, ხაზარაძე, ინწკირველი, კილაძე, მინაშვილი. შეხვედრის პირველი ნახევარი თბილისელებმა დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 31:26. შესვენების შემდეგ თბილისელთა უპირატესობა უფრო საგრძნობი გახდა და მათ შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 48:33. ძლიერად ჩაატარა შეხვედრა თბილისელმა ო. ქორქიამ, რომელიც ორთაბრძოლებს ცნობილ ვ. ახტაევთან ხშირად თავის სასარგებლოდ ამთავრებდა. აღნიშნულ შეხვედრაში ქორქიამ თავის გუნდს მისცა 17 ქულა, ხოლო ახტაევმა — 14 ქულა. კარგად ითამაშა აგრეთვე ახალგაზრდა ი. ხაზარაძემ (თბილისი), რომელმაც შეხვედრის მეორე ნახევარში თავის გუნდს შემატა 12 ქულა.

პირად-გუნდური პირველობა ჭიდაობა სამბოში

ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში მოეწყო რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა ჭიდაობა სამბოში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, „სპარტაკის“ და „კოლმეურნის“ 38 მოჭიდავე.

მეტად დაძაბული შეხვედრების შემდეგ პირველი ადგილები წონითი კატეგორიის მიხედვით დაიკავეს: ქ. ინასარიძემ („დინამო“), საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ლ. კაციაშვილმა („ბურევესტნიკი“), სპორტის ოსტატმა თ. არაბულმა („შრომითი რეზერვები“), საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა თ. ელერდაშვილმა („ბურევესტნიკი“), ვ. მარიამულმა („დინამო“), დ. ბერუაშვილმა („დინამო“), საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა სპორტის ოსტატმა ე. ქარქუსაშვილმა („დინამო“) და სპორტის ოსტატმა ა. ვარდოევმა („ბურევესტნიკი“).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა „დინამოს“ გუნდმა, მეორეზეა — „ბურევესტნიკი“, ხოლო მესამეზე „შრომითი რეზერვები“.

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ თასზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად 1-დან 30 ოქტომბრამდე ეწყობა პიონერთა რაზმეულების რესპუბლიკური დაუსწრებელი შეჯიბრება მძლეოსნობაში გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ თასზე.

შეჯიბრების პროგრამაშია: რბენა, ხტომა სიგრძესა და სიმაღლეზე.

ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს 300 ათასამდე პიონერ-მოსწავლე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურციკიძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

ინსტიტუტი

1. მარცვლეული კულტურების განყოფილება — განყოფილების გამგე;
2. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების განყოფილება — განყოფილების გამგე, იგივე ინსტიტუტის გარდაბნის ბაზის გამგე;
3. აგროქიმიის და ნიადაგის მიკრობიოლოგიის განყოფილება — განყოფილების გამგე;
4. სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკის და ორგანიზაციის განყოფილება — განყოფილების გამგე.

კახეთის საცდელი სადგური

1. საკვები კულტურების განყოფილება — განყოფილების გამგე.

გორის საცდელი სადგური

1. მინდვრის კულტურების განყოფილება — განყოფილების გამგე;
2. კარტოფილის და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების განყოფილება — განყოფილების გამგე.

ქუთაისის საცდელი სადგური

1. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების აგროტექნიკის განყოფილება — განყოფილების გამგე;
2. აგროქიმიის ლაბორატორია — ლაბორატორიის გამგე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მეცნიერების დოქტორს ან კანდიდატს, აგრეთვე ამ განცხადებაში აღნიშნული დარგების მიხედვით სოფლის მეურნეობის იმ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, დიდი საწარმოო გამოცდილება და ამეღავნებს სამეცნიერო მუშაობის უნარს.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დამოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების სანუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ. საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ეგზემპლარად.

კონკურსის ვადაა 1 თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ინსტიტუტის მისამართი: მცხეთის რაიონი, ს. საგურამო.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
ახალი წარმოდგენა

ხუთშაბათს — 26, პარასკევს — 27 საღამოს და კვირას 29 სექტემბერს დღისით

ვ. გაბესკირია
გურიის „მთები დაუთოვია“
დრამა 3 მოქმედებად

მონაწილეობენ:
თ. წულუკიძე, ემ. აფხაიძე, გ. საღარაძე, მ. ჩიხლაძე, ნ. ჩხეიძე, კ. საკანდელიძე, ჯ. ღაღანიძე და სხვ.

დამდგმელი — კ. პატარიძე
მხატვარი — ფ. ლაპიაშვილი

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე, დღისით — 12 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

მეუღლე ნინო ოსელიანი, შვილები ირინე, გრიშა, დები ელიადა, ბაბილინა, ძმები ივანე, ლევან; მამია, კუკური, დავით, ივანდილ, მერი, ეთერ გიორგაძეები იუწყებიან
გერმანე ვასილის-ძე გიორგაძის (შუბითის)
გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27, 28-IX 8 ს. გამოსვენება 29-IX, 4 ს. პირველი მაისის ქ. № 13.

მეუღლე ლევან, შვილი რეზო იუწყებიან
ლოლა სიმონის ასულ გუგუშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IX, 6 ს. სოფ. ეწერში (აბაშის რ.).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თანამშრომლები იუწყებიან
სოლომონ იაკობის-ძე ციწაძის
გარდაცვალებას.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო